ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 58-59

"9" ივნისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპორგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ა" პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51-104 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის" ქვეპორგრამის განხორციელების წესი ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №4-14 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის“ ქვეპორგრამის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის“ ქვეპორგრამის განხორციელების წესი (შემდგომში წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“ (კოდი: 06 02 28) (შემდგომში – ქვეპროგრამა) ფარგლებში დაფინანსების განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომელზეც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის – ქვეპროგრამაში (კოდი 06 02 28) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

მუხლი 2. წესის მიზანი

წესის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და კულტურულ - შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართვა.

მუხლი 3. ქვეპროგრამის მოსარგებლეები

ქვეპროგრამის მოსარგებლე შესაძლებელია იყოს :

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე - შშმ პირი, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განცხადების წარდგენის მომენტისათვის არანაკლებ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ პერიოდში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია და ამგვარი შეწყვეტის შედეგად არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.

ბ)შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები;

გ)შშმ პირთა სერვისის პროვაიდერი ორგანიზაციები.

მუხლი 4. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა

1. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სახეებია:

ა) შშმ პირებში კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) შშმ პირთა განათლების და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა;

გ) შშმ პირების სხვა საჭიროებების უზრუნველყოფა.

მუხლი 5. ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი და განცხადების განხილვის წესი

1. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდგომში –

ქვეპროგრამის განმახორციელებელი).

2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად აუცილებელია ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრულმა ქვეპროგრამით მოსარგებლე პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა მიმართოს ქვეპროგრამის განმახორციელებელს განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) დაბადების/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება ამავე წესის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობებს;

გ) მომსახურების ხარჯების ინვოისი/ანგარიშფაქტურა;

დ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ორგანიზაციის შემთხვევაში ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელი , განცხადების და თანდართული დოკუმენტაციის ამ წესით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, განიხილავს ქვეპროგრამით მოსარგებლისათვის დაფინანსების გაცემის შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობას.

მუხლი 6. ქვეპროგრამით გათვალისიწინებული დაფინანსების წესი

1. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება წარმოდგენილი განცხადების ან საპროექტო განაცხადის საფუძველზე. შენიშვნების შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მოსთხოვოს განმცხადებელს კორექტირებული განცხადების/ საპროექტო განაცხადის წარმოდგენა.

2. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისათვის მზადდება წერილი, ქვეპროგრამით მოსარგებლისათვის თანხის გადარიცხვის მოთხოვნით.

3. განცხადების/საპროექტი განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასმახურის მიერ გაიცემა არამატერიალიზებული ვაუჩერი ან ფორმდება ხელშეკრულება.

მუხლი 7. შემთხვევების შერჩევითი მონიტორინგი

1. შემთხვევების შერჩევითი მონიტორინგი ხდება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

2. შემთხვევითი მონიტორინგი გულისხმობს შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ინფორმაციის ნამდვილობის დადგენას.

3. შემთხვევის შერჩევითი მონიტორინგისას ხდება ქვეპროგრამის მოსარგებლესთან სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენლის ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროებისამებრ, შშმ პირთან გასაუბრება.

4. მომსახურება ანაზღაურებას არ ექვემდებარება თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ქვეპროგრამით მოსარგებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები და ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება არ ემთხვევა შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტაციაში წარმოდგენილ ინფორმაციას.

მუხლი 8. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

1.შესრულებულ სამუშაოზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ა) მოსარგებლის სრული დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) პროგრამის დასახელება;

გ) წარმოდგენილი სამუშაოს ღირებულება;

დ) მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა;

ე) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი.

3. ხელშეკრულების დადების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

ამ დადგენილების მიღებამდე არსებული ურთიერთობების ფარგლებში, მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაო ანაზღაურდეს ამ დადგენილების ამოქმედებამდე, მოქმედი წესის მიხედვით.